



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე — მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

15 ივნისი 2018 წელი

ქ. თბილისი

#### დისციპლინური საქმე №67/17

-- -- 2017 წლის 21 ივლისის №-- საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 04 მაისის №67/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:**

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2016 წელს ქ. -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მის მიერ შეტანილ იქნა სასარჩელო განცხადება ადმინისტრაციული

აქტების ბათილობის თაობაზე, რაც განსჯადობით 2016 წლის 22 ივლისს გადაიგზავნა -- რაიონულ სასამართლოში და წარმოებაში მიიღო მოსამართლე --- .

საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მათი შუამდგომლობა ნოტარიუსისგან მესამე პირად ჩასაბმელი პირის მონაცემების გამოთხოვის და საქმეში მესამე პირად ჩაბმის შესახებ, ნაცვლად, მოსამართლემ ნოტარიუსისგან გამოითხოვა ინფორმაცია თუ არსებობდა სამკვიდროს მიმღების განაცხადი და არა მისი პირადი მონაცემები, რის გამოც განმეორებით მიმართა ნოტარიუსს. ასევე, მოსამართლემ საქმეში მესამე პირად ჩასაბმელ პირს დაავალა მიეღო მემკვიდრეობა და მისცა დრო დაეცვა თავისი უფლება, რასაც ადმინისტრაციული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აღნიშნულით სახეზეა მოსამართლის მხრიდან კანონის დარღვევა და საქმის გაჭიანურება - დღემდე მოსამართლე --- არ დაუსრულებია საქმე.

## **2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

-- 2016 წლის 15 ივლისს სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა -- რაიონის სოფელ -- მდებარე მიწის ნაკვეთზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ -- რაიონის სოფელ -- მასზე ირიცხებოდა მიწის ნაკვეთი, რაზეც საჯარო რეესტრში წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით, რა დროსაც დაფიქსირდა ზედდება და შეუჩერდა სარეგისტრაციო წარმოება. მოსარჩელე მოითხოვს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იმ გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას, რაც საფუძვლად დაედო სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებას.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 ივლისის განჩინებით, -- -- სარჩელი განსჯადობით გადაეგზავნა -- რაიონულ სასამართლოს.

-- რაიონული სასამართლოს მოსამართლის -- -- 2016 წლის 27 ივლისის განჩინებით, წარმოდგენილ სარჩელზე -- -- დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა 10 დღიანი ვადა საჯარო რეესტრის დოკუმენტების წარმოსადგენად.

-- რაიონული სასამართლოს მოსამართლის -- -- 2016 წლის 16 აგვისტოს განჩინებით, მოსარჩელეს გაუგრძელდა ვადა ხარვეზის შესავსებად.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის 08 სექტემბერს წარდგენილ იქნა შესაგებელი.

2016 წლის 02 ნოემბრის განჩინებით, საქმეზე დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2016 წლის 10 ნოემბერს.

მოსარჩელემ 2016 წლის 07 დეკემბრის განცხადებით დააზუსტა სარჩელი და დააყენა შუამდგომლობა საქმეში დამატებით მოპასუხედ თერჯოლის რაიონის გამგეობის ჩართვის თაობაზე.

2016 წლის 21 დეკემბრის განჩინებით, ნოტარიუსისგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია -- -- სამკვიდროს მიღების შესახებ, -- რაიონის სოფელ -- მდებარე უძრავ ქონებაზე, კერძოდ, მიმართა თუ არა ნოტარიუსს განცხადებით -- -- რომელიმე რიგის მემკვიდრემ.

2017 წლის 18 იანვრის სხდომაზე სასამართლომ ქ. თერჯოლის ნოტარიუსისგან გამოითხოვა ინფორმაცია -- -- მეორე რიგის მემკვიდრის - დის - -- -- საკონტაქტო მონაცემების შესახებ.

2017 წლის 10 მაისის განჩინებით, მესამე პირის სტატუსით ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში ჩაერთო -- --.

-- რაიონული სასამართლოს 2017 წლის 05 ივლისის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

-- -- 2017 წლის 05 ივლისის გადაწყვეტილება გაასაჩივრა -- სააპელაციო სასამართლოში.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 18 სექტემბრის განჩინებით, -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და დღემდე გრძელდება საქმის განხილვა.

**2.2. მოსამართლე -- -- წარმოებაში არსებული და დამთავრებული საქმეების სტატისტიკური მონაცემები არის შემდეგი:**

- **2016 წელი** - სულ წარმოებაში მიიღო **833 საქმე და დაასრულა 759 (91%)**, კერძოდ, სისხლის სამართლის საქმე - 39 და დაასრულა 39 (100%), წინასასამართლო სხდომები - 67 და დაასრულა 67 (100%), სამოქალაქო - 251 და დაასრულა 211 (84%), ადმინისტრაციული - 138 და დაასრულა 121 (88%), სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფა - 4 და დაასრულა 4 (100%), ადმინისტრაციული სამართალდარღვევა 195 და დაასრულა 178 (100%), საგამოძიებო მოქმედებები - 76 და დაასრულა 76 (100%), აღკვეთის ღონისძიებები - 63 და დაასრულა 63 (100%).

- **2017 წელი** - სულ წარმოებაში მიიღო **1064 საქმე და დაასრულა 905 (85%)**, კერძოდ, სისხლის სამართლის საქმე - 14 და დაასრულა 13 (93%), წინასასამართლო სხდომები - 72 და დაასრულა 70 (97%), სამოქალაქო - 376 და დაასრულა 321 (85%), ადმინისტრაციული - 134 და დაასრულა 83 (62%), სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფა - 6 და დაასრულა 6 (100%), ადმინისტრაციული სამართალდარღვევა 215 და დაასრულა 165 (77%), საგამოძიებო მოქმედებები - 206 და დაასრულა 206 (100%), აღკვეთის ღონისძიებები - 41 და დაასრულა 41 (100%).

### **3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

განსახილველ შემთხვევაში, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება უნდა მოხდეს იმ კუთხით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში და ჰქონდა თუ არა ადგილი საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის/საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებითი განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

იმისათვის, რომ დადგინდეს საქმე იყო თუ არა გონივრულ ვადაში განხილული მნიშვნელოვანია განისაზღვროს - 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (*Katte Klitsche de la Grande v. Italy*, §55; *Papachelas v. Greece*, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (*H. V. United Kingdom*, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (*Human v. Poland*, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (*Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania*, §150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (*König v. Germany*, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (*Acquaviva v. France*, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (*Pafitis and others v. Greece*; §93; *Tiece v. San Marino*; §31; *Sürmeli v. Germany*, §129.)

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა, უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (*Frydlender v. France*, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (*König v. Germany*; §98).

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- წარმოადგენს ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ მოსამართლეს, შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ წესებს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალების მიხედვით, მოსამართლემ ორჯერ მიმართა ნოტარიუსს, პირველად მოითხოვა სადავო ქონების გარდაცვლილი მესაკუთრის სამკვიდროს მიღების შესახებ ინფორმაცია, ხოლო მეორედ - მემკვიდრის შესახებ საკონტაქტო მონაცემები. მოსამართლის მხრიდან, ამ შემთხვევაში რაიმე სახის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ასევე, საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი დოკუმენტი, რითაც, როგორც საჩივარშია მითითებული მოსამართლემ პროცესში მესამე პირად ჩასაბმელ პირს დაავალა მემკვიდრეობის მიღება.

რაც შეეხება საქმის განხილვის გაჭიანურების საკითხს, -- -- სარჩელზე -- რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვა გაგრძელდა 11 თვისა და 16 დღის განმავლობაში, აქედან, სარჩელის განსაჯადობით გადაგზავნიდან (19/07/2016) სამი თვისა და ორი კვირის ვადაში დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა (02/11/2016), რა პერიოდშიც მოსარჩელეს დაუდგინდა ხარვეზი (27/07/2016) და გაუგრძელდა ვადა ხარვეზის შესავსებად (16/08/2016). მორიგი სასამართლო სხდომები ჩატარდა 10/11/2016, 21/12/2016, 18/01/2017, 07/02/2017, 16/02/2017, 20/04/2017, 10/05/2017, 25/05/2017 და 15/06/2017. საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 2017 წლის 05 ივლისს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქმედების საქმის განხილვის „უსაფუძვლო“

გაქიანურებად მიჩნევისთვის, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ საქმის განხილვის ვადებთან ერთად, მხედველობაში მიიღება საქმის მოსამართლის წარმოებაში ყოფნის პერიოდი, საქმეთა სიმრავლე, დატვირთულობა და განსახილველ საქმესთან მიმართებაში მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები, რისი გათვალისწინებითაც, მოსამართლე -- -- მხრიდან არ იკვეთება საქმის განხილვის უსაფუძვლოდ გაქიანურების ნიშნები.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტითა და 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №67/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის  
უმადლესი საბჭოს მდივანი